ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01190254078**
თარიღი: **25/01/2019**
პინი: **8723**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 25 იანვრის #60-0119025303 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (AR1639850), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილის მომართვის საფუძველზე ქ. თბილისში, გორგასლის ქ. #75ა-ში (ს.კ. 01.18.06.019.121)(სპეცზ-1; სზ) შპს „გიომირი+სპორტ-ტაიმი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, IV კლასის სპორტული დარბაზი/კომპლექსის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

რაც შეეხება გასამწვანებლად შემოთავაზებულ ნუშის (56 ძირი) ხის საკითხს გაცნობებთ, რომ ვინაიდან, აღნიშნული სახეობა განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა ჯგუფს, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების მიზნით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 65 ძირი კავკასიური აკაკის გარდა, ნაცვლად ნუშისა, დაირგოს იმავე რაოდენობის დიდი ვარჯის მქონე ნებისმიერი წიწვოვანი (კვიპაროსის, შავი ფიჭვისა და ელდარის ფიჭვის გარდა) ხე.

აქვე გაცნობებთ, იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს პროექტის შეთანხმების საკითხზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საინფორმაციო დაფის ესკიზი, რომელზეც გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ანდა ფოტომონტაჟის სახით და უნდა მოიცავდეს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაციას, კერძოდ:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს (მშენებლობის ნებართვის აღებამდე, განმცხადებელს აღნიშნული გრაფის შევსება არ მოეთხოვება);
- გასაშენებელი ნარგავების სახეობას (მათ შორის დახასიათება: ხნოვანება, სიმაღლე) დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობას.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

